



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### კოხნარი

კოხნარი, სოფელი გურიის რეგიონის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, გურიის ქედის სამხრ.-აღმ. კალთაზე, მდ. ხევსწყლის (რიონის მარცხ. შენაკადი) ხეობაში. თემის ცენტრი (სოფლები: კ., ბურნათი, ნაკადული, წიფნარი). ზ. დ. 140 მ, ჩოხატაურიდან 13 კმ, საჯავახოდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 16 კმ. 575 მცხ. (2014).

სოფელში შემორჩენილია იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, განეკუთვნება XVIII-XIX სს. აგებულია სიპი ქვითა და დუღაბით. გადმოცემის თანახმად, მდ. ხევსწყლიდან ტაძრამდე, მთელ სიგრძეზე მწყობრში ჩამდგარი ხალხი ერთმანეთს აწვდიდა ქვებს მის ასაგებად. აქ მოღვაწეობდნენ უშვერიძეები და თევზაძეები.

---